სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 27.04.18
შემოსვლის დრო შეკვრის ადგილი
შემოსვლის № 2478566
ფურცლების რაოდენობა 27 ფურცელი

მოსარჩელე: *შენიშვნა-1*

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3* — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	222 38 74			greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

1) ნინო გუჯარაიძე	01015010047	1) 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ.39ბ,
2) ირმა მახათაძე 3354	18001007618	4სართ. 2) ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. 7/19
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	222 38 74	599902520 599717407		ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: *შენიშვნა-5*

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა 8, IV სართული თბილისი 0186, საქართველო
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	293-27-32			tacsa@economy.ge
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტ

შენიშვნა-10

დავის საგანი

შენიშვნა-11

ქმედების განხორციელების დავალება.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

2018 წლის 28 თებერვალს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" მიმართა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა 2015 წლის 1 იანვრიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოწოდების მომენტამდე სააგენტოში შემოსული და სააგენტოდან გასული კორესპონდენციის ელექტრონული რეესტრის (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის 64 დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების დაცვით წარმოებული) გადაცემა.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 15 მარტის 09/471 წერილით ააიპ მწვანე ალტერნატივას ეცნობა, რომ 2015 წლის აპრილიდან სსიპ ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში დაინერგა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 64 დადგენილების "სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად, რომლის მეშვეობითაც ელექტრონულად ხდება სააგენტოდან გასული და შემოსული ყველა კორესპონდენციის წარმოება და შესაბამისი რეგისტრაციის ნომრის მინიჭება. ვინიდან, აღნიშნული დადგენილებით ცალკე ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ კორესპონდენციის რეესტრის წარმოების ვალდებულება არ არის განსაზღვრული, სააგენტოს აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონული ფორმით არ გააჩნია, თუმცა სააგენტო ახორციელებს ამგვარი კორესპონდენციის რეგისტრაციას მატერიალურ ფორმით, ჟურნალის სახით. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ჟურნალის ქსეროასლის მოწოდება.

2018 წლის 3 აპრილს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" კვლავ მიმართა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს მიუთითა, რომ ორგანიზაცია არ ითხოვდა დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემიდან ერთიან ელექტრონულ ფორმაში კორესპონდენციის რეესტრის გადმოტანას და რომ ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მოთხოვნაა - 2015 წლიდან სააგენტოში დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული კორესპონდენციის რეესტრის ნებისმიერი მოსახერხებელი

საშუალებით (ნებისმიერ ელექტრონულ ფორმატში, ან ამობეჭდილი) გადაცემა თანდართული დოკუმენტების გარეშე.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 13 აპრილის 09/641 წერილით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა, რომ სააგენტოს კორესპონდენციის ერთიან ელექტრონულ ფორმაში გადმოტანა და ორგანიზაციისათვის მიწოდება ტექნიკურად შეუძლებელია. რაც შეეხება ინფორმაციის ადგილზე გაცნობას, ვინაიდან სააგენტოში წარმოებული კორესპონდენცია მოიცავს სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებული პირების და სააგენტოს თანამშრომლების პერსონალურ მონაცემებს, ასევე კომერციულ საიდუმლოდ მიჩნეულ დოკუმენტაციას, შესაბამისად აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას ადგილზე გააცნოს მოთხოვნილი ინფორმაცია დაინტერესებულ პირს. ამდენად, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მიმართვის შემთხვევაში სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი წესით მიაწვდის დაინტერესებულ პირს მოთხოვნილ ინფორმაციას.

სააგენტოს ზემოაღნიშნული ქმედებით (საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა) პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. ამდენად, წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს მოსარჩელის დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 | შენიშვნა-15 | შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 28 თებერვალს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" #04/03-594 წერილით მიმართა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა 2015 წლის 1 იანვრიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოწოდების მომენტამდე სააგენტოში შემოსული და სააგენტოდან გასული კორესპონდენციის ელექტრონული რეესტრის (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N64 დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების დაცვით წარმოებული) გადაცემა.

მტკიცებულება:

დანართი №1. - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 28 თებერვლის №04/03-594 წერილი.

2. ფაქტობრივი გარემოება

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 15 მარტის N09/471 წერილით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა, რომ 2015 წლის აპრილიდან სსპ-ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში დაინერგა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N64 დადგენილების "სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად, რომლის მეშვეობითაც ელექტრონულად ხდება სააგენტოდან გასული და შემოსული ყველა კორესპონდენციის წარმოება და შესაბამისი რეგისტრაციის ნომრის მინიჭება. ვინიდან აღნიშნული დადგენილებით, ცალკე ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ კორესპონდენციის რეესტრის წარმოების ვალდებულება არ არის განსაზღვრული, სააგენტოს აღნიშნული ელექტრონული ფოსტა არ გააჩნია, თუმცა სააგენტო ახორციელებს ამგვარი კორესპონდენციის რეგისტრაციას მატერიალურ ფორმით, ჟურნალის სახით. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ჟურნალის ქსეროასლის მოწოდება.

მტკიცებულება:

დანართი №2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 15 მარტის 09/471 წერილი.

3. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 19 მარტს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" #04/03-601 წერილით მიმართა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა სააგენტოში შემოსული და სააგენტოდან გასული ყველა კორესპონდენციის ელექტრონული რეესტრის და არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ კორესპონდენციის რეესტრის გადაცემა..

მტკიცებულება:

დანართი №3. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 19 მარტის №04/03-601 წერილი.

4. ფაქტობრივი გარემოება

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 22 მარტის N09/524 წერილით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა, რომ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემიდან შემოსული და გასული კორესპონდენციის ერთიანი ელექტრონული რეესტრის ფორმაში გადმოტანა ტექნიკურად ვერ ხერხდება.

მტკიცებულება:
დანართი №4. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 22 მარტის 09/524 წერილი.

5. ფაქტობრივი გარემოება
2018 წლის 26 მარტს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" #04/03-607 წერილით მიმართა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა 2015 წლის 1 იანვრიდან მოთხოვილი ინფორმაციის მოწოდების მომენტამდე სააგენტოში შემოსული და სააგენტოდან გასული კორესპონდენციის რეესტრის არსებული ფორმით ნებისმიერი მოსახერხებელი საშუალებით (ნებისმიერ ელექტრონულ ფორმატში, ან ამობეჭდილი) გადაცემა.
მტკიცებულება:
დანართი №5. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 26 მარტის №04/03-607 წერილი.

6. ფაქტობრივი გარემოება
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 30 მარტის N09/577 წერილით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა, რომ სააგენტოში დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემიდან ტექნიკურად შეუძლებელია ერთიან ელექტრონულ ფორმაში კორესპონდენციის რეესტრის გადმოტანა, ამის პარალელურად სააგენტო არ აწარმოებს კორესპონდენციის სხვა ელექტრონულ რეესტრს. ამასთანავე, 2015 წლიდან სააგენტოში დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული კორესპონდენციის, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ამობეჭდვა აღემატება სააგენტოს შესაძლებლობებს.
მტკიცებულება:
დანართი №6. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 30 მარტის 09/577 წერილი.

7. ფაქტობრივი გარემოება
2018 წლის 3 აპრილს "მწვანე ალტერნატივამ" #04/03-608 წერილით მიმართა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, მიუთითა, რომ არ ითხოვდნენ დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემიდან ერთიან ელექტრონულ ფორმაში კორესპონდენციის რეესტრის გადმოტანას და რომ ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მოთხოვნაა - 2015 წლიდან სააგენტოში დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ კორესპონდენციის რეესტრის გადაცემა არსებული ფორმით ნებისმიერი მოსახერხებელი საშუალებით (ნებისმიერ ელექტრონულ ფორმატში, ან ამობეჭდილი) თანდართული დოკუმენტების გარეშე.
მტკიცებულება:
დანართი №7. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 3 აპრილის №04/03-608 წერილი.

8. ფაქტობრივი გარემოება
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 13 აპრილის N09/641 წერილით "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა, რომ სააგენტოს კორესპონდენციის ერთიან ელექტრონულ ფორმაში გადმოტანა და ორგანიზაციისათვის მიწოდება ტექნიკურად შეუძლებელია. რაც შეეხება ინფორმაციის ადგილზე გაცნობას, ვინაიდან სააგენტოში წარმოებული კორესპონდენცია მოიცავს სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებული პირების და სააგენტოს თანამშრომლების პერსონალურ მონაცემებს, ასევე კომერციულ საიდუმლოდ მიჩნეულ დოკუმენტაციას, შესაბამისად აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას ადგილზე გააცნოს მოთხოვნილი ინფორმაცია

დაინტერესებულ პირს. ამდენად, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მიმართვის შემთხვევაში სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი წესით მიაწვდის დაინტერესებულ პირს მოთხოვნილ ინფორმაციას.

მტკიცებულება: დანართი #8. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 13 აპრილის N09/641 წერილი.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 *შენიშვნა-18* *შენიშვნა-19*

1. სასარჩელო მოთხოვნა

გათილად იქნეს ცნობილი - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 13 აპრილის N09/641 წერილი (რეალაქტი) და დაევალოს - მოპასუხეს, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 3 აპრილის #04/03-608 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემა.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი). მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი) ფორმალურ–სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, რომელიც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობაში, მის მიერ საჯარო უფლებამოსილების კანონდარღვევით განხორციელებაში, რაც სზაკ–ის 5.1 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია.

3. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: ა)ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. ბ)საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

4. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - 2015 წლიდან სააგენტოში დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტირებულ კორესპონდენციის რეესტრის გადაცემა - წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას. შესაბამისად, სააგენტოს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ უკანონოა.

5. სზაკ-ის 41.2 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და უგულვებელყოფით არ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" განცხადებები საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

სასკ-ის 24-ე, 33-ე პრიმა მუხლი.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
დაევალოს მოპასუხეს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 28 თებერვლის, 19 მარტის, 26 მარტის, 3 აპრილის განცხადებებთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა.

შენიშვნა-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

სარჩელის ფასი — არაქონებრივი ლარი
შენიშვნა-25

სახელმწიფო ბაჟი — 100 ლარი
შენიშვნა-26

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?
მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ ☐ მტკიცებულება:

არა ☒ რადგან სასკ-ის 24-ე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში მხარეს არ ეკისრება ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დაეის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დაეის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
25 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დავის დასრულება გონივრულია.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☒

არა ☐ რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☒

არა ☐ რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 28 თებერვლის №04/03-594 წერილი - 1 ფურცელი;
2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 15 მარტის 09/471 წერილი - 1 ფურცელი;
3. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 19 მარტის №04/03-601 წერილი - 1 ფურცელი;
4. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 22 მარტის 09/524 წერილი - 1 ფურცელი;
5. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 26 მარტის №04/03-607 წერილი - 1 ფურცელი;
6. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 30 მარტის 09/577 წერილი - 1 ფურცელი;
7. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 3 აპრილის №04/03-608 წერილი - 1 ფურცელი;
8. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 13 აპრილის 09/641 წერილი - 1 ფურცელი;
9. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
10. რწმუნებულებები - 2 ფურცელი;
11: სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) გადახდის ქვითარი (~~დედანი~~ ასლი) - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 13+14=27 ოცდაშვიდი

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მოსაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია: ☐	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული: ☐ *უარის თქმის საფუძველი*	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ირმა მახათაძე 26/04/2018წ.
ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას"
წარმომადგენელი

ხელმოწერა ხელმომწერის სახელი და გვარი შევსების თარიღი

შეესებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

მწვანე ალტერნატივა

0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

28 თებერვალი, 2018
04/03-594

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გთხოვთ, გადმოგვცეთ 2015 წლის 1 იანვრიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოწოდების მომენტამდე სააგენტოში შემოსული და სააგენტოდან გასული კორესპონდენციის ელექტრონული რეესტრი (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №64 დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების დაცვით წარმოებული).

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ჯიქიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacsa@economy.ge

KA020108630393118

15 / მარტი / 2018 წ.

№ 09/471

მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ
დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი ა/წ 23 თებერვლის N04/03-594 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ 2015 წლის აპრილიდან სსიპ - ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო) დაინერგა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა საქართველოს მთავრობის 2012 წლის N64 დადგენილების „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად, რომლის მეშვეობითაც ელექტრონული ფორმით ხდება სააგენტოდან გასული და შემოსული ყველა კორესპონდენციის წარმოება და შესაბამისი რეგისტრაციის წომრის მინიჭება. ვინაიდან, აღნიშნული დადგენილებით, ცალკე ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ კორესპონდენციის რეესტრის წარმოების ვალდებულება არ არის განსაზღვრული, სააგენტოს აღნიშნული ელექტრონული რეესტი არ გააჩნია, თუმცა სააგენტო ახორციელებს ამგვარი კორესპონდენციის რეგისტრაციას მატერიალური ფორმით, ჟურნალის სახით. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ჟურნალის ქსეროასლის მოწოდება.

პატივისცემით,

ნუნუ მემარნიშვილი

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით
გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი

მწვანე ალტერნატივა

0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

19 მარტი, 2018
04/03-601

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის
ქალბატონ ნუნუ მემარნიშვილს

ქალბატონო ნუნუ,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი 2018 წლის 15 მარტის № 09/471 წერილისათვის. აქვე მოგახსენებთ, რომ ჩვენი N04/03-594 წერილით ვითხოვთ, სწორედ, სააგენტოში შემოსული და სააგენტოდან გასული ყველა კორესპონდენციის ელექტრონულ რეესტრს და არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ კორესპონდენციის რეესტრს.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ჯიქიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacsa@economy.ge

KA020153570871918

№ 09/524

22 / მარტი / 2018 წ.

მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ
დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი ა/წ 19 მარტის N04/03-601 წერილით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელეტრონული სისტემიდან შემოსული და გასული კორესპონდენციის ერთიანი ელექტრონული რეესტრის ფორმაში გადმოტანა ტექნიკურად ვერ ხერხდება.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით
გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი

ნუნუ მემარნიშვილი

მწვანე ალტერნატივა

0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

26 მარტი, 2018
04/03-607

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის
ქალბატონ ნუნუ მემარნიშვილს

ქალბატონო ნუნუ,

გთხოვთ, გადმოგვცეთ 2015 წლის 1 იანვრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდების მომენტამდე სააგენტოში შემოსული და სააგენტოდან გასული კორესპონდენციის რეესტრი არსებული ფორმით ნებისმიერი მოსახერხებელი საშუალებით (ნებისმიერ ელექტრონულ ფორმატში, ან ამობეჭდილი).

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ჯიქიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacsa@economy.ge

KA020170987210118

№ 09/577

30 / მარტი / 2018 წ.

მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ
დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი ა/წ 26 მარტის N04/03-607 წერილით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით სააგენტოს ა/წ 22 მარტის № 09/524 წერილით გვცნობათ, რომ სააგენტოში დაწერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემიდან ტექნიკურად შეუძლებელია ერთიან ელექტრონულ ფორმაში კორესპონდენციის რეესტრის გადმოტანა, ამის პარალელურად სააგენტო არ აწარმოებს კორესპონდენციის სხვა ელექტრონულ რეესტრს.

ამასთანავე, 2015 წლიდან სააგენტოში დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული კორესპონდენციის, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ამობეჭდვა აღემატება სააგენტოს შესაძლებლობებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით
გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირის

ნუნუ მემარნიშვილი

მწვანე ალტერნატივა

0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

3 აპრილი, 2018
04/03-608

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის
ქალბატონ ნუნუ მემარნიშვილს

ქალბატონო ნუნუ,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი 09/577 წერილისათვის. ვწუხვართ, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოწოდებას უკვე მესამედ დაზუსტება და დამატებითი განმარტება ესაჭიროება.

მოგახსენებთ, რომ არ ვითხოვთ დანერგილი დოკუმენტ-ბრუნვის ელექტრონული სისტემიდან ერთიან ელექტრონულ ფორმაში კორესპონდენციის რეესტრის გადმოტანას. აქვე მოგახსენებთ, რომ რა თქმა უნდა ვაცნობიერებთ, რომ რეესტრი არ გულისხმობს თანდართული დოკუმენტების მოწოდებას (ვიმედოვნებდით, რომ ეს ჩვენი წერილიდან ნათელი იყო).

ამდენად, კიდევ ერთხელ ვაზუსტებთ ჩვენს მოთხოვნას და გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2015 წლიდან სააგენტოში დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული კორესპონდენციის რეესტრი თანდართულ დოკუმენტების გარეშე არსებული ფორმით ნებისმიერი მოსახერხებელი საშუალებით (ნებისმიერ ელექტრონულ ფორმატში, ან ამობეჭდილი).

ვიმედოვნებთ, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდება არ აღემატება სააგენტოს შესაძლებლობებს; თუმცა საპირისპირო შემთხვევაში, მზად ვართ ადგილზე გავეცნოთ მოთხოვნილ ინფორმაციას.

კიდევ ერთხელ წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ჯიქიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacsa@economy.ge

KA020173057716418

№ 09/641

13 / აპრილი / 2018 წ.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს
აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ნინო ფუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი ა/წ 3 აპრილის N04/03-608 წერილით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ როგორც სააგენტოს მიერ გამოგზავნილი წინა წერილებით (22.03.2018 № 09/524; 30.03.2018 № 09/577) გეცნობათ, ტექნიკურად შეუძლებელია ერთიან ელექტრონულ ფორმაში სააგენტოს კორესპონდენციის გადმოტანა და თქვენთვის მოწოდება. რაც შეეხება ინფორმაციის ადგილზე გაცნობას, ვინაიდან სააგენტოში წარმოებული კორესპონდენცია მოიცავს სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებული პირების და სააგენტოს თანამშრომლების პერსონალურ მონაცემებს, ასევე კომერციულ საიდუმლოდ მიჩნეულ დოკუმენტაციას, შესაბამისად აღნიშნული არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას ადგილზე გაგაცნოთ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ამდენად, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მომართვის შემთხვევაში სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილი წესით მოგაწვდით მოთხოვნილ ინფორმაციას.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით
გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი

ნუნუ შემარნიშვილი